



WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #45 აგვისტო, 2015

გამოშვებაში წაიკითხავთ

მონაცემთა გაცვლის სააგენტო "კიბერ კლასის" პროექტს იწყებს

1 მონაცემთა გაცვლის სააგენტო „კიბერ კლასის“ პროექტს იწყებს

2 **CERT.GOV.GE** საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის მემორანდუმებს აფორმებს

3 მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ევროკავშირის დამმობილების მორიგი პროექტი იწყება

3 ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემა ტესტირების ბოლო ფაზას გადას

4 ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებში

4 ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი სახელმწიფო ელექტრო სისტემაში

4 და სხვა...



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE ახალ პროექტს იწყებს, რომლის მიზანია ნიჭიერ ახალგაზრდა სპეციალისტებს (20-25 წელი) დაეხმაროს კიბერუსაფრთხოების საფუძვლების ათვისებაში და ასევე გაუზიაროს მათ სააგენტოში ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნა.

პროექტი "კიბერ კლასი" (Cyber Class) დამწყებ პროფესიონალებს საშუალებას აძლევს გამოიმუშაონ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-

ჩვევები შემდეგ დისციპლინებში: ინფორმაციის სისტემური შეგროვება, შედარებადობის ტესტირება, მანეჟ კოდის ანალიზი, ე.წ. „Pcap“ და ლოგ ფაილების ანალიზი, ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები.

იმისათვის რომ, მსმენელმა შეძლოს აღნიშნული კურსის გავლა, აუცილებელია ფლობდეს საბაზისო ცოდნას შემდეგ სფეროებში: კომპიუტერული ქსელების საფუძვლები, კრიპტოგრაფია და ვებ დეველოპმენტი (Networking, Scripting, Web development).

„ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეწყო ახალი პროექტი, რომელსაც „კიბერ კლასი“ ვუწოდებთ და რომლის მიზანია ახალგაზრდებს უფასოდ მივცეთ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა ისეთ სფეროში, როგორც კიბერუსაფრთხოება. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც, ბუნებრივია, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის სპეციალისტები ეს არის უნიკალური შანსი ახალგაზრდებისთვის, უშუალოდ დარგის სპეციალისტების მიერ მომზადებული სილაბუსის მიხედვით შეიძინონ საბაზისო ცოდნა კიბერუსაფრთხოების საფუძვლებში“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე (გაგრძელება გვ. 2).

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.justice.gov.ge

იუსტიციის სახლი
www.house.gov.ge

my.gov.ge
www.my.gov.ge

www.sda.gov.ge

საპარტნიორო ბიზნესი
www.napr.gov.ge

საქართველოს მემორიალი
www.archives.gov.ge

www.nbe.gov.ge

www.notary.ge

საქართველოს საპანონო-საბანკო მსახური
www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge
ელექტრონიკი აუქციონი

www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

სრული კურსი მოიცავს 6 სასწავლო კვირას. კვირაში გათვალისწინებულია ერთი 2-3 საათიანი ლექცია. ყოველი ლექცია თეორიულ მასალასთან ერთად მოიცავს სპეციალურ ლაბორატორიულ სამუშაოს. კურსისთვის მომზადდება შესაბამისი სახელმძღვანელოები და პრაქტიკული სავარჯიშოები, ასევე მოწვეული იქნება არაერთი ექსპერტი და დარგის სპეციალისტი კონკრეტული თემის მიხედვით პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად.

თითოეული ლექცია ჩატარდება შემდეგი გეგმის მიხედვით:

- პრეზენტაცია და წინასწარ დაგეგმილი თემის მოკლე განხილვა;
- ლაბორატორიულ სამუშაოების ირგვლივ დისკუსიები და სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციების განხილვა;
- წინასწარ განსაზღვრული თემის შესახებ მასალის მიწოდება;
- ლაბორატორიული სამუშაოს ახსნა და დავალების მიცემა.
- დაინტერესებული პირებისთვის განცხადების შემოტანის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 18 სექტემბერი;
- შემოსული რეზიუმეების (CV) განხილვისა და კანდიდატებთან გასაუბრების საფუძველზე სპეციალური ჟიურის მიერ შეირჩევა 15 მსმენელი, რომელიც გაივლის კურსს;
- უფასო სასწავლო კურსი დაიწყება 30 სექტემბერს და გაგრძელდება 4 ნოემბრამდე;
- კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სპეციალური სერტიფიკატები.

დაინტერესებულ პირებს რეზიუმეს გამოგზავნა შეუძლიათ ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: hr@dea.gov.ge; კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE. ტელ.: 291 51 40; FB გვერდი: <https://www.facebook.com/certgovge>

CERT.GOV.GE საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის მემორანდუმებს აფორმებს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების სამთავრობო ჯგუფი CERT.GOV.GE აგრძელებს თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმებას ამიერკავკასიისა და ევროპის ქვეყნების შესაბამის ჯგუფებთან. აგვისტოს თვეში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები გაფორმდა სომხეთისა და ლატვიის CERT ჯგუფებთან. მემორანდუმებს ხელი მოაწერეს შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელმა პირებმა. თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება მიღებული და გავრცელებული პრაქტიკაა

CERT ჯგუფების საქმიანობაში, რომელიც უმეტესწილად სწორედ ნდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებს ემყარება. მემორანდუმების მიხედვით, კრიზისული სიტუაციების დადგომის შემთხვევაში, მხარეები მჭიდრო თანამშრომლობის ვალდებულების აღებასთან ერთად, კომპიუტერული ინციდენტების იდენტიფიცირებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერთმანეთისთვის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმებზე, ასევე ერთობლივი პროექტებისა და ტრენინგების ჩატარებაზეც თანხმდებიან.

სხვადასხვა ქვეყნის CERT ჯგუფების დაინტერესებას საქართველოს შესაბამის ორგანიზაციასთან მემორანდუმების გაფორმებასთან დაკავშირებით ხელი შეუწყო ივლისში, ქ. თბილისში რეგიონული კიბერუსაფრთხოების შესახებ საერთაშორისო სემინარის ჩატარებამ, რომელიც რეგიონში კიბერუსაფრთხოების დაცვისა და განვითარების საკითხებს მიეძღვნა. სემინარის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება CERT ჯგუფებს შორის თანამშრომლობას დაეთმო.

სომხეთისა და ლატვიის გარდა, მემორანდუმები უკვე გაფორმებულია აზერბაიჯანსა და მოლდოვასთან, ხოლო აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს თურქეთის, რუმინეთის, ესტონეთის, ლიტვის, პოლონეთის, უნგრეთისა და იტალიის შესაბამის ორგანიზაციებთან.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ევროკავშირის დამმობილების მორიგო პროექტი იწყება



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო მიმდინარე წლის სექტემბრიდან ევროკავშირის რიგით მეორე დამმობილების (TWINNING) პროექტს იწყებს, რომელიც საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ამჯერად ტენდერში გაიმარჯვა ესტონურ-იტალიურმა კონსორციუმმა, რომელიც 18 თვის განმავლობაში მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად განახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია ევროკავშირში დამკვიდრებული სტანდარტების შესაბამისად ელ. მმართველობაში საქართველოს საჯარო ინსტიტუტების ინსტიტუციონალური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება ტრენინგების, კონსულტაციების, სარეიტინგო სისტემებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემა ტესტირების ბოლო ფაზას გადის



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ხორციელდება ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტი. ერთიანი სავაჭრო ქსელი (TFS) არის ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროში ჩართულ რგოლებს შორის ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში ელექტრონულად გაცვლის სისტემა, რომელიც ამცირებს ხარჯებს და დროს, რაც ვაჭრობისა და გადაზიდვისათვის სავალდებულო დოკუმენტაციის მოსამზადებლად არის საჭირო. შესაბამისად მცირდება

პროცედურების რაოდენობა და ჩქარდება ლოგისტიკისა და ტვირთის განბაჟების პროცესი.

პროექტის პირველი ეტაპი მოიცავს პროცესში ჩართულ მხარეებს შორის საზღვაო გადაზიდვების საშუალებით კონტეინერების იმპორტ/ექსპორტის პროცესების თანმდევი ინფორმაციის ავტომატურად მიმოცვლას. ამჟამად სისტემის სხვადასხვა კომპონენტების ტესტირების პროცესის ბოლო ეტაპი მომდინარეობს. კერძოდ, 31 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით დაგეგმილია სისტემის იმპორტის ფუნქციონალის ტესტირება, რომლის მიზანია, სისტემის სატესტო რეჟიმში გასაშვებად მომზადება. ტესტირების პროცესში მხარეები კიდევ ერთხელ გაეცნობიან იმპორტის პროცესის მსვლელობის სრულ ციკლს და გამოაშვარავებენ ფუნქციონალის ხარვეზებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ტესტირების შემდეგ, აღმოჩენილი ხარვეზები გამოსწორდება და სისტემა გაეშვება სატესტო რეჟიმში.

სისტემაში ჩართული მხარეები არიან: შემოსავლების სამსახური, რკინიგზა, ფოთისა და ბათუმის პორტები, საზღვაო ხაზები, ტერმინალები, ექსპედიტორები.

ერთიან სავაჭრო ქსელში ჩართულ სუბიექტებს მოეხსნებათ საქმიანობასთან დაკავშირებული დღემდე არსებული შემაფერხებელი ბარიერები, გაუმარტივდებათ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებთან ურთერთობის კოორდინაცია და ისარგებლებენ ე.წ. ერთი ფანჯრის მომსახურების პრინციპით. ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ინვესტიციების შემოდინებას და კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს, როგორც ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველი ქვეყნის რეპუტაციას.

ერთიანი სავაჭრო ქსელი ყოველწლიურად ჩანაცვლებს 1 მილიონ ქალაქის დოკუმენტს. ვაჭრობისა და ლოგისტიკის სფეროში მოქმედი ბიზნესებისთვის კი მოსალოდნელი წლიური დანაზოგი 4.5 მილიონი იქნება.

ერთიანი სავაჭრო ქსელი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის კიდევ ერთ წარმატებულ მაგალითს. ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, რომლის პროექტი „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა“ ინტენსიურადაა ჩართული აღნიშნულ პროცესში.

ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებში



უსაფრთხოების საფუძვლებში - შესავალი, დანერგვა და შიდა აუდიტი. ტრენინგი მიზნად ისახავდა ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დაგეგმვის, დანერგვისა და აუდიტის ეტაპების გაცნობას. ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციული უსაფრთხოების პრაქტიკაში დანერგვის გზებს, რათა მათი დაწესებულების საქმიანობა თავსებადი იყოს საქართველოს კანონთან ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. ტრენინგი 3-7 აგვისტოს მიმდინარეობდა და დასრულდა ტესტირებით ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერობის კანდიდატებისთვის, რომლის შედეგების შეფასების საფუძველზეც გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები.

იუსტიციის სასწავლო ცენტრში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ. კიბერუსაფრთხოების ბიუროს თანამშრომლებისთვის მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ჩატარდა ტრენინგი ინფორმაციული

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში დასრულდა SCADA და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის აუდიტი, რომელსაც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველომ განახორციელა.

აუდიტის ფარგლებში განხორციელდა არსებული მდგომარეობის შეფასება და საუკეთესო პრაქტიკებთან შედარება.

აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე ორგანიზაციას გადაეცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა სრულ შესაბამისობაში მოვა საქართველოს კანონთან ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ და მგს 27001:2011 სტანდარტთან, ასევე COBIT -ის და საქმიანობის უწყვეტობის საუკეთესო პრაქტიკებთან.



საქპატენტის სერვისები მოქალაქის პორტალზე



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ საქპატენტთან ჩატარებული ერთობლივი სამუშაოების შედეგად ჩამოყალიბდა ამოცანა მოქალაქის პორტალზე სასაქონლო ნიშნების შესახებ ინფორმაციული სერვისის შექმნასთან დაკავშირებით.

სერვისის რეალიზაციის შედეგად, მომხმარებელი შეძლებს მოქალაქის პორტალზე იხილოს თუ რა სასაქონლო ნიშნები აქვს დარეგისტრირებული, როდის მოხდა მათი რეგისტრაცია და ვინ იყო რეგისტრაციის პროცესში ჩართული.

„მოქალაქის პორტალზე ახალი სერვისების დამატება მუდმივი პროცესია. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რათა კიდევ უფრო მეტი ონლაინ მომსახურების მიღების შესაძლებლობა მივცეთ ჩვენს მომხმარებლებს. მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქის პორტალზე განთავსებული იყოს მოქალაქისთვის საჭირო სერვისების ფართო სპექტრი“, - ნიკოლოზ

გაგნიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი.

აღნიშნული სერვისი უახლოს მომავალში გახდება ხელმისაწვდომი.

კომპიუტერული ტექნიკა ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებისათვის



სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, პროექტ „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებს კომპიუტერული ტექნიკა გადასცა. კომპიუტერები საჭიროებების მიხედვით მუნიციპალიტეტების გამგეობისა და საკრებულოს შესაბამის სამსახურებში გადანაწილდება.

სულ პროექტის ფარგლებში ხუთი საპილოტე მუნიციპალიტეტი შეირჩა: ახმეტა, ხაშური, ქარელი, ხობი და ყვარელი, სადაც საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების დასაწარმოებლად საჭირო სხვადასხვა აქტივობები უკვე მიმდინარეობს.

პირველ ეტაპზე, 5 მუნიციპალიტეტისთვის ჯამში 70 კომპიუტერის შესყიდვა განხორციელდა, მათგან 31 ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებს დღეს გადაეცა.

„პროექტის საბოლოო მიზანია შერჩეულ საპილოტე მუნიციპალიტეტებში სერვისების მართვისა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემების დანერგვა. ამ სისტემების საშუალებით გაუმჯობესდება კონტროლი გაწეულ მომსახურებაზე, შემცირდება მომსახურების მიღების ვადები და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საოპერაციო და ადამიანური ხარვეზები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი გახდება გამჭვირვალე. პროექტი უაღრესად მნიშვნელოვანია და მოხარული ვართ, რომ სერვისების განვითარების სააგენტოს, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან პარტნიორობით საშუალება მიეცა ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობის დანერგვას და თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლას,“ - განაცხადა სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ **შიო ხეცურიანმა**.

კომპიუტერების გადაცემის პროცესი მომავალ კვირაში ახმეტის, ყვარელისა და ხობის მუნიციპალიტეტებში დასრულდება. პარალელურ რეჟიმში უკვე დაიწყება კიდევ 5 საპილოტე მუნიციპალიტეტის შერჩევა, რომელთათვისაც ელექტრონული მმართველობის დანერგვის მიზნით კიდევ 50 კომპიუტერის შესყიდვა განხორციელდება.

CERT.GOV.GE-ს რეკომენდაციები: ინფორმაციის კლასიფიკაცია



ალბათ, ყველას მოგვისმენია ფილმის ყურებისას ასეთი ფრაზა: „სამწუხაროდ ვერ გეტყვით, ეს საიდუმლო ინფორმაციაა“. ეს სტატია მიმოიხილავს, თუ როგორ შეიძლება დაგვეხმაროს ინფორმაციის კლასიფიკაცია ინფორმაციის ფასეულობისა და სენსიტიურობის გარკვევაში და როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის მართვა და დაცვა.

თქვენს კომპანიაში არსებული ინფორმაცია განსხვავებულია როგორც სენსიტიურობის, ისე ფასეულობის თვალსაზრისით.

მაგალითად, ინფორმაცია პირდაპირ კონკურენტთან გაუმჟღავნებლობის შესახებ ბევრად უფრო სენსიტიური და ღირებულია, ვიდრე კომპანიის პრესრელიზები ახალი პროდუქტის შესახებ (გაგრძელება გვ. 6).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 5)

შედეგად, ინფორმაციის კლასიფიკაცია აადვილებს სენსიტიურობისა და ფასეულობის სხვადასხვა დონეების დადგენას. თითოეული კლასიფიკაციის დონე ასევე მიუთითებს, თუ როგორ უნდა იქნეს შესაბამის დონეზე დაცული და მართული არსებული ინფორმაცია. ყველა ინფორმაცია დაცული უნდა იქნეს მისი კლასიფიკაციის დონის შესაბამისად - იქნება ეს ინფორმაციის გადაცემისა თუ შენახვის პროცესი.

ყველა ინფორმაციას ჰყავს თავისი მფლობელი და სწორედ იგი არის პასუხისმგებელი, რომ გარანტირებული იყოს მის მფლობელობაში არსებული ინფორმაციის სწორი და შესაბამისი კლასიფიცირება.

ინფორმაციის კლასიფიკაციის საერთო დონეები

ქვემოთ მოცემულია ზოგადად გამოყენებული კლასიფიკაციის სტრუქტურის ოთხი სხვადასხვა დონე.

საიდუმლო ინფორმაცია

- არის უკიდურესად სენსიტიური და კომპანიისთვის ყველაზე მეტად ღირებულია;
- არაავტორიზებული წვდომა ან გამჟღავნება კრიტიკულ ზიანს მოუტანს კომპანიას;
- წვდომა უნდა იყოს შეზღუდული მხოლოდ მცირე რაოდენობის ავტორიზებული ინდივიდებისთვის.

მაგალითად: პაროლები, სამედიცინო დოკუმენტაცია, დამცავი ბარიერების (Firewall) კონფიგურაციები და დეტალები მოსალოდნელი გაერთიანების ან შესყიდვების შესახებ.

კონფიდენციალური ინფორმაცია

- სენსიტიური და კონფიდენციალურია მხოლოდ კომპანიის ფარგლებში;
- არაავტორიზებული წვდომა ან გამჟღავნება გავლენას მოახდენს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებზე;
- წვდომა უნდა ქონდეთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მოქმედებენ ბიზნესის საჭიროებიდან გამომდინარე.

მაგალითად: ხელფასები, კონტრაქტები, პერსონალის საიდენტიფიკაციო მონაცემები და მომხმარებლების ანგარიშის ნომრები.

შიდა ინფორმაცია

- არ არის სენსიტიური და გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესასრულებლად;
- არაავტორიზებული წვდომა ან გამჟღავნება გამოიწვევს უხერხულობას, მაგრამ არ იქნება კრიტიკული ხასიათის;
- წვდომა უნდა გააჩნდეთ მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებს.

მაგალითად: კომპანიის თანამშრომლების ცნობარი/კატალოგი, შიდა საკომუნიკაციო საშუალებები ან ელ-ფოსტები, პროექტის გეგმები ან შეხვედრების ოქმები.

საჯარო ინფორმაცია

- არ არის სენსიტიური და შეიძლება იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი;
- არაავტორიზებული წვდომა ან გამჟღავნება არ იქნება პრობლემის გამომწვევი;
- წვდომის შეზღუდვის აუცილებლობა არ არის.

მაგალითად: პრეს-რელიზები, პროდუქტის შესახებ ბროშურები, წლიური ანგარიშები

ინფორმაციის მარკირება და მართვა

ინფორმაციის კლასიფიკაციის შემდეგ უნდა მოხდეს მისი შესაბამისი მარკირება და მართვა, კლასიფიკაციის დონის თანახმად. არსებობს მინიმუმ ორი კონტროლი იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს სენსიტიური ინფორმაციის (მაგალითად, საიდუმლო ან კონფიდენციალური) მარკირება, შენახვა, გადაცემა და განადგურება.

მარკირება

სენსიტიური ელექტრონული ინფორმაცია კლასიფიკაციის დონეს შესაბამის დოკუმენტში ასახვით უნდა შეიცავდეს (მაგალითად, ე.წ. „Header“-ში, „Footer“-ში, თემის სათაურის სტრიქონში და ა.შ.);

სენსიტიური ფიზიკური ინფორმაციის კლასიფიკაციის დონე შესაბამის დოკუმენტზე გასაგები მარკირებით უნდა გამოიხატებოდეს (გაგრძელება გვ. 7)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 6)

შენახვა

- სენსიტიური ელექტრონული ინფორმაცია უნდა დაიშიფროს შენახვისას და დაცულად უნდა მოთავსდეს კონტროლირებად ფოლდერში ან კატალოგში;
- სენსიტიური ფიზიკური ინფორმაცია უნდა შეინახოს ჩაკეტილ უჯრაში;

გადაცემა

- სენსიტიური ელექტრონული ინფორმაცია უნდა დაიშიფროს, როდესაც ხდება მისი ელ-ფოსტით გაგზავნა ან ელექტრონულად გადაცემა;
- სენსიტიური ფიზიკური ინფორმაციის გადაცემა უნდა მოხდეს დახურული, ბეჭდით დადასტურებული კონვერტით და აუცილებლად სანდო კურიერის მეშვეობით.

განადგურება

- სენსიტიური ელექტრონული ინფორმაციის განადგურება უნდა მოხდეს უსაფრთხოდ, როდესაც აღარ არის მისი არსებობის საჭიროება;
- სენსიტიური ფიზიკური ინფორმაცია უნდა განადგურდეს ქალაქის მჭრელი მანქანის გამოყენებით (რომელიც ძალიან წვრილად აქუცმაცებს ქალაქს).

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ